ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მიხეილ გოგოტიშვილის 2015 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოვხვდი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით. ვარ ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"ს თავმჯდომარე.

2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მონაწილეობა მაქვს მიღებული საკრებულოს 10 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებული იქნა 35 განკარგულება და დამტკიცდა 27 დადგენილება.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი კომისიის სხდომებში. სულ დავესწარი "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 8 სხდომას. და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 7 სხდომას.

აღნიშნულ სხდომებზე სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომისიამ გამოიტანა რამდენიმე დასკვნა, 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატების თაობაზე და სხვა საკითხები.

2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩავატარე 10 შეხვედრა ამომრჩეველთან და 9 მოქალაქეთა მიღება.

მოქალაქეთა შეხვედრასა და მიღებაზე წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა – შეჩერებულ სოციალურ დახმარებას, ავარიული სახლებისათვის სახურავების შეცვლას, მედიკამენტური მკურნალობისათვის ერთჯერად დახმარების გაცემას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, შიდა გზების მოწესრიგებას და გარე განათების მოწყობას.

საანგარიშო პერიოდში ასევე ჩავატარე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' 64 სხდომა, სადაც განვიხილეთ საკრებულოს სხომაზე განსახილველი საკითხები და ასევე მოქალაქეთა მიღებაზე და ამომრჩევლებთან შეხვედრაზე დასმული პრობლემების გადაჭრის საკითხები.